



სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	თეოლოგია
პროგრამის ხელმძღვანელი	თეიმურაზ ბუაძე
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	პუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი თეოლოგიაში Bachelor of Arts (BA) - Theology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	240 ECTS (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2–სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).
პროგრამის დამტკიცების თარიღი და ოქმის ნომერი	28.09.2009 № 02-09/09
პროგრამის განახლების თარიღი და ოქმის ნომერი	30.05.2019 № 04-19

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, დადგენილი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე.

თეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

პროგრამის მიზანი

ძირითადი სპეციალობის შესაბამისად:

- (A) ძველი და ახალი აღთქმის შინაარსობრივი ცოდნა და მისი განმარტებები;
- (B) ადრეული, შუა, ძველი და ახალი პერიოდის ეკლესიის ისტორია, საქართველოს ეკლესიის ისტორია, საეკლესიო სამართალი, საკრამენტოლოგია, პატრისტიკული ლიტერატურა, ქრისტიანული საეკლესიო ხელოვნება;
- (C) ეკლესიის დოგმატური მოძღვრება და ფუნდამენტური თეოლოგია, ქრისტიანული ეთიკა, ანტიკური, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ფილოსოფიის ისტორია, მსოფლიო რელიგიების ისტორიის ზოგადი ცოდნა, ისლამისმცოდნეობის შესავალი;
- (D) თეოლოგიის სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე ხელმძღვანელის მითითებით მცირე მოცულობის კვლევის ჩატარების უნარ-ჩვევები, თეოლოგიური პრობლემებისა და თანამედროვე საკითხების დამუშავების, შემდგომი განვითარებისა და ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა;
- (E) სხვადასხვა რელიგიისა და რელიგიური მიმდინარეობის პატივისცემა.

## სწავლის შედეგები

### ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს ეცოდინება/გაცნობიერებული ექნება:

- (A) წმინდა წერილის ტექსტების არსობრივი, დოქტრინალური ერთიანობა მისი განგებულებითი და სოტერიოლოგიური ასპექტები და ჩამოყალიბების ისტორია; შეძლებს წმინდა წერილის ისტორიული და კულტურული კონტექსტის დაზუსტებას; დაინახავს ახალი აღთქმის წიგნების დოგმატურ საზრისს; გაეცნობა წმინდა წერილის ეგზეგეტიკური ტრადიციული სკოლების სპეციფიკას; ექნება წმინდა წერილისა და მისი ეგზეგეტიკური ტრადიციების ფართო ცოდნა;
- (B) ადრეული, შუა, ძველი და ახალი პერიოდის ეკლესიის ისტორიის ცალკეულ ღირშესანიშნავი მომენტების ისტორიული, საკრამენტალური, კანონიკური კონტექსტი და მნიშვნელობა; ეცოდინება უმნიშვნელოვანესი პატრისტიკული ავტორების მოღვაწეობა, მათი მთავარი თეოლოგიური იდეები, კონცეფციები და გავლენები; ეცოდინება ქრისტიანული საეკლესიო ხელოვნების ისტორია, მისი ეტაპები, განვითარების შინაგანი ლოგიკა და ექსპრესიის ფორმები;
- (C) ეკლესიის დოგმატური ფორმულირებების გამოცხადებითი საფუძვლები, მათი საღვთისმეტყველო და ისტორიული კონტექსტი, ტერმინოლოგიური გამოხატულებები და ანალიზი; გაეცნობა ქრისტიანული აპოლოგეტიკის მთავარ მომენტებს, რწმენისა და ცოდნის ურთიერთდამოკიდებულებასა და ცალკეულ რელიგიურ-ფილოსოფიურ კონცეფციას; გააცნობიერებს ქრისტიანული ეთიკის ფუნდამენტალურ პრინციპებს და შეძლებს მათ თანამედროვე პიროვნულ, სოციალურ, ბიოეთიკურ, პოლიტიკურ და სხვა პრობლემატურ კონტექსტში გამოყენებას, გაეცნობა ქრისტიანული ეთიკის უახლეს პრობლემეტიკასა და ასპექტებს; ეცოდინება ანტიკური, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ფილოსოფიის ის მნიშვნელოვანი იდეები და კონცეფციები, რომლებმაც არსებითი გავლენა მოახდინეს ადრინდელ და თანამედროვე თეოლოგიურ აზრზე. შეისწავლის ისლამისმცოდნეობის ელემენტებს და შეძლებს საქართველოში და სხვაგან ისლამურ თემთან დაკავშირებული რელიგიური, სოციალური და კულტურული პრობლემების სათანადოდ გაანალიზებას. რელიგიების ისტორიაში მიღებული ცოდნა დაეხმარება კარგად გააცნობიეროს ცალკეული რელიგიური თემებისთვის დამახასიათებელი მსოფლმხედველობრივი, კულტურული და მათი სოციალური ყოფასთან დაკავშირებული თავისებურებები;
- (D) ინდივიდუალური და პიროვნებათა შორის ურთიერთობის ფსიქოლოგიური საფუძვლები და შეძლებს მათ ქრისტიანული და ზოგადად, რელიგიური თვალსაზრისით შეფასებას; შეძლებს საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობის საფუძვლებისა და პერსპექტივების გააზრებას.

### უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- (E) ინტერკონფესიურ და ინტერრელიგიურ ურთიერთობებში აქტიურად ჩაბმას, ეკლესიის საკრამენტულ ცხოვრებაში მონაწილეობას, მისი მნიშვნელობისა და თეოლოგიური საზრისის სხვებისთვის გაზიარებას. რელიგიური, ისტორიული და ფილოსოფიური ტერმინოლოგიის გამოყენებას, თეოლოგიურ დისციპლინათა ურთიერთმიმართების განსაზღვრას და დოგმატური ტრაქტატის მნიშვნელობის ამოცნობას; შეუძლია ამ აქტიურობისას წარმოქმნილი გაუთვალისწინებელი პრობლემების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების სწორად შეფასება და მათი გადაჭრის გზების მოძიება;
- (F) თეოლოგიის პირველად და მეორედ წყაროთა განსხვავებას და ჰერმენევტიკისა და ეგზეგეტიკის პრინციპების საფუძველზე ბიბლიური ტექსტებიდან დასკვნის გამოტანას, სხვადასხვა რელიგიების წარმოშობის, გავრცელების ისტორიის, მათი მოძღვრების და საკრამენტული ტრადიციის შედარებით ანალიზს და რელიგიატური დასკვნების გამოტანას, ანალიზზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას;
- (G) თეოლოგიის საკითხებზე და მის ინტერდისციპლინურ არეალზე დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობას რელიგიატური ტერმინოლოგიისა და თანამედროვე კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით; რელიგიით, რწმენით და თეოლოგიით დაინტერესებული ადამიანებისთვის არათეოლოგიური ენით თეოლოგიური ცოდნის გადაცემას. სამუშაო ჯგუფში ინტერპერსონალურ კომუნიკაციას და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შემოქმედებითი შრომის პროცესის

გამარტივებას; შეძლებს რელევანტური დასკვნების მისაღებად თანამედროვე მეთოდების გამოყენებას და ხელმძღვანელის მითითებებით მცირე მოცულობის კვლევის განხორციელებას;

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

კურსდამთავრებული შეძლებს:

- (H) საღვთისმეტყველო წყაროების, სტატიებისა და მონოგრაფიების საფუძველზე ცოდნის შემდგომ გაღრმავებას;
- (I) მოყვასისადმი მსახურება, თანაგრძნობა, სხვისი თავისუფლების აღიარება, სოციალური სოლიდარობისა და პასუხისმგებლობის განცდა; საკუთარი საქმიანობისას - კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო ან სამუშაო გარემოს ჩათვლით - ეთიკური პრინციპებით ხელმძღვანელობა და განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა;

**სწავლება-სწავლის მეთოდი**

- ლექცია  სამუშაო ჯგუფში მუშაობა  პრაქტიკული მუშაობა  სემინარი  ელექტრონული რესურსით სწავლება
- ელექტრონული სწავლება  სხვა

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა**

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიითი გამოცდა, ზეპირი/წერიითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ.). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს:

**ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

**ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
------------------	--

(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
შეფასების ფორმები და კომპონენტები	
შეფასების ფორმები და კომპონენტები	მაქსიმალური ქულა
<b>შუალედური შეფასება, მათ შორის:</b>	<b>70 ქულა</b>
წერიტი/ზეპირი გამოკითხვა	30
შუალედური წერიტი/ზეპირი გამოცდა	30
ინდივიდუალური საშინაო დავალება/პრეზენტაცია	10
<b>დასკვნითი შეფასება</b>	<b>30 ქულა</b>
დასკვნითი წერიტი/ზეპირი გამოცდა	30
<b>სულ</b>	<b>100 ქულა</b>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნითი შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.</p>	

**დასაქმების სფერო**

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო სექტორის დაწესებულებებში, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, რელიგიურ ორგანიზაციებში, საგამომცემლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ან/და სხვ., სადაც მოითხოვება/საკმარისია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის თეოლოგიაში აკადემიური ხარისხი. ასევე, კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს: მენეჯმენტის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - როგორც ქართული, ისე უცხოური კომპანიების ადმინისტრაციულ, სამეურნეო, საინფორმაციო და სხვ. სამსახურებში, ფირმებსა და საწარმოებში; ტურიზმის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - როგორც ქართულ, ისე უცხოურ ტურისტულ კომპანიებში, სახელმწიფო და კომერციული სექტორის ტურისტულ ორგანიზაციებში, საკურორტო ობიექტებზე ან/და სხვ. საერთაშორისო ურთიერთობების დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - საჯარო დაწესებულებები (სამინისტროები და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ინსტიტუტები), შესაბამისი პროფილის ორგანიზაციები არასამთავრობო და კერძო სექტორში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, მასმედიაში.

**სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა**

კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უცხოეთის და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში) თეოლოგიის ან სხვა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც წინაპირობის სახით არ ითვალისწინებს სხვა მიმართულებაში/სპეციალობაში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის საჭიროებას.

**პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი**

სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციას და დაეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

*შენობა-ნაგებობანი* - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის 24-საათიან მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს სასწავლო უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

*ბიბლიოთეკა* - სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელ-მისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (საკანონმდებლო მაცნე, EBSCO, HeinOnline, ELSEVIER: Scopus, Science Direct, Scival Funding)). სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

*აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე* - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

*საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები* - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისათვის. სტუდენტებისათვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისათვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

### სწავლების ორგანიზების თავისებურებები

თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის დასრულებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი, საიდანაც 174 კრედიტი არის ძირითადი კომპონენტი. დარჩენილი 66 კრედიტის დასაგროვებლად სტუდენტს შეუძლია აირჩიოს საგნები სასწავლო უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამიდან ან აიღოს 60 კრედიტის მოცულობით ერთ-ერთი დამატებითი სპეციალობიდან: ტურიზმი, მენეჯმენტი, საერთაშორისო ურთიერთობები და 6 კრედიტი სასწავლო უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამიდან.

თეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს თავისუფალი კომპონენტის სახით შეიძლება ეღიაროს სხვა სასწავლო კურსები, რომელიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

უცხო ენის კომპონენტი მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს: ინგლისური ენა (A1), ინგლისური ენა (A2), ინგლისური ენა (B1.1), ინგლისური ენა (B1.2) ინგლისური ენა (B2.1), ინგლისური ენა (B2.2)

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის სავალდებულოა ინგლისური ენის B2 დონეზე დასრულება, რაც პროგრამაში შესაბამემა სასწავლო კურსს ინგლისური ენა (B2.2).

ინგლისური ენის სასწავლო კურსებზე განაწილება წარმოებს საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე.

განაწილების საფუძველია დონის განმსაზღვრელი ტესტის წერა, რომელიც სავალდებულოა სტუდენტისათვის.

დონის განმსაზღვრელი ტესტის შეფასების შედეგების საფუძველზე სტუდენტები გადაწილდებიან ინგლისური ენის შემდეგ დონეებზე:

- ინგლისური ენა (A1) - 21 - 40 ქულა
- ინგლისური ენა (A2) - 41 - 51 ქულა
- ინგლისური ენა (B1.1) – 52 - 61 ქულა
- ინგლისური ენა (B1.2) – 62 - 71 ქულა
- ინგლისური ენა (B2.1) - 72 - 81 ქულა
- ინგლისური ენა (B2.2) - 82 - 100 ქულა

**შენიშვნა:** ის სტუდენტი რომელიც ტესტირების შედეგად დააგროვებს 0-20 ქულას (A0) დონეს გაივლის ინტენსიური კურსის საშუალებით და სწავლას კრედიტების დასაგროვებლად დაიწყებს A1 დონიდან.

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია ინგლისური ენის 24 კრედიტი. დონის განმსაზღვრელი ტესტით ინგლისური ენის საწყის დონეზე მოხვედრის შემთხვევაში სტუდენტი დანარჩენ 12 კრედიტს აგროვებს პროგრამის ასარჩევი საგნების ხარჯზე, რათა მიაღწიოს პროგრამის დასრულებას განსაზღვრული უცხო ენის ცოდნის დონით - ინგლისური ენა (B2.2)

ის სტუდენტები, რომლებიც უნივერსიტეტში ჩარიცხვის ეტაპზე წარმოადგენენ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ შემდეგ საერთაშორისო სერტიფიკატებს, შესაბამისი შეფასებებით, თავისუფლდებიან უნივერსიტეტში ინგლისური ენის სწავლების ვალდებულებისაგან. პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული უცხო ენის 24 კრედიტს კი აგროვებენ არჩევითი საგნების ხარჯზე. კერძოდ,

სტუდენტი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2-ის ან B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სხვა სერტიფიკატს კერძოდ: FCE; IELTS- 5.5-6.5; TOEFL Paper 513-547; TOEFL CBT-183 – 210; TOEFL IBT- 65-78 **შენიშვნა:** ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სერტიფიკატი განაცხადის გაკეთების დროს უნდა იყოს ძალაში და აპლიკანტს უნდა შეეძლოს მისი წარმოდგენა. ვადაგასული დოკუმენტი არ განიხილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

№	წინაპირობა	მოდული/საგანი	ECTS კრედიტი								საკონტაქტო საათები	სტუდენტის სასწავლო დატვირთვა
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი			დამოუკიდებელი საათები
			სემესტრი									
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
<b>საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები</b>												
1.	წინაპირობის გარეშე	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	6/150								47	103
2.	წინაპირობის გარეშე	კომუნიკაციის, პრეზენტაციის და დისკუსიის ტექნიკა		6/150							47	103
3.	წინაპირობის გარეშე	ფსიქოლოგიის საფუძვლები			6/150						47	103
4.	წინაპირობის გარეშე	ევროპა და საქართველო				6/150					47	103
<b>ინგლისური ენის კომპონენტი</b>												
5.	წინაპირობის გარეშე	ინგლისური ენა A1 <sup>1</sup>	6/150								92	58
6.	ინგლისური ენა A1	ინგლისური ენა A2	6/150								92	58

<sup>1</sup> შენიშვნა: ინგლისური ენის დონეებზე მითითებული სემესტრები იცვლება პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების მიერ დონის განმსაზღვრელი ტესტის შედეგების საფუძველზე

7.	ინგლისური ენა A2	ინგლისური ენა – B1/1	6/150								92	58
8.	ინგლისური ენა– B1/1	ინგლისური ენა – B1/2		6/150							92	58
9.	ინგლისური ენა– B1/2	ინგლისური ენა – B2/1			6/150						92	58
10.	ინგლისური ენა– B2/1	ინგლისური ენა – B2/2				6/150					92	58
<b>ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები</b>												
11.	წინაპირობის გარეშე	ადრეული და შუა საუკუნეების ეკლესიის ისტორია	6/150								47	103
12.	წინაპირობის გარეშე	ანტიკური და შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია	6/150								47	103
13.	წინაპირობის გარეშე	რელიგიების ისტორია	6/150								47	103
14.	ადრეული და შუა საუკუნეების ეკლესიის ისტორია	ახალი და უახლესი დროის ეკლესიის ისტორია		6/150							47	103
15.	ანტიკური და შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია	ახალი და უახლესი დროის ფილოსოფიის ისტორია		6/150							47	103
16.	წინაპირობის გარეშე	ბიბლიის შესავალი		6/150							47	103
17.	წინაპირობის გარეშე	ხუთწიგნული და წინასწარმეტყველები			6/150						47	103
18.	წინაპირობის გარეშე	სახვითი ხელოვნების თეორიისა და ისტორიის საფუძვლები			3/75						47	28
19.	წინაპირობის გარეშე	ისლამისმცოდნეობის შესავალი			3/75						33	42



20.	წინაპირობის გარეშე	საქართველოს ეკლესიის ისტორია			6/150						47	103		
21.	წინაპირობის გარეშე	სინოპტიკური სახარებები და მოციქულთა საქმეები			6/150						47	103		
22.	წინაპირობის გარეშე	მართლმადიდებლური დოგმატიკის საფუძვლები			6/150						47	103		
23.	წინაპირობის გარეშე	ქრისტიანული ეთიკა და თანამედროვეობა			6/150						47	103		
24.	წინაპირობის გარეშე	პატროლოგია					6/150				47	103		
25.	წინაპირობის გარეშე	ქრისტოლოგია					6/150				33	117		
26.	წინაპირობის გარეშე	შესავალი მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ სამართალში					6/150				47	103		
27.	წინაპირობის გარეშე	იოანეს კორპუსი					6/150				47	103		
28.	წინაპირობის გარეშე	ფუნდამენტური თეოლოგია						6/150			33	117		
29.	წინაპირობის გარეშე	ლიტურგიკული ღვთისმეტყველება						6/150			33	117		
30.	წინაპირობის გარეშე	საკრამენტოლოგია						6/150			47	103		
31.	წინაპირობის გარეშე	სამწყსო წერილები და პავლეს კორპუსი						6/150			47	103		
32.	ბიბლიის შესავალი; ფუნდამენტური თეოლოგია	საბაკალავრო ნაშრომი								6/150	13	137		
		<b>ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები</b>	<b>არჩევა შესაძლებელია</b>							<b>ECTS</b>				
33.	წინაპირობის გარეშე	პნევმატოლოგია						+	+	+	+	6/150	33	117

34.	წინაპირობის გარეშე	ეკლესიოლოგია					+	+	+	+	6/150	33	117
35.	წინაპირობის გარეშე	ჰომილეტიკა					+	+	+	+	6/150	33	117
36.	წინაპირობის გარეშე	ადმოსავლეთის ეკლესიები					+	+	+	+	6/150	47	103
37.	წინაპირობის გარეშე	ქრისტიანული არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების საფუძვლები					+	+	+	+	6/150	47	103
38.	წინაპირობის გარეშე	ესქატოლოგია					+	+	+	+	6/150	33	117
39.	ინგლისური B1/2	ძველი ებრაული ენა					+	+	+	+	6/150	33	117
40.	წინაპირობის გარეშე	ძველი ბერძნული ენა					+	+	+	+	6/150	33	117
41.	წინაპირობის გარეშე	ლათინური ენა					+	+	+	+	6/150	33	117
42.	წინაპირობის გარეშე	თანამედროვე ეკლესიათმორისო ურთიერთობები და საქართველო					+	+	+	+	6/150	33	117
<b>არასპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები</b>													
43.	წინაპირობის გარეშე	ძველი და შუა საუკუნეების მსოფლიო ისტორია					+	+			6/150	47	103
44.	ძველი და შუა საუკუნეების მსოფლიო ისტორია	ახალი და უახლესი დროის მსოფლიო ისტორია							+	+	6/150	47	103
45.	წინაპირობის გარეშე	პიროვნების ფსიქოლოგია					+	+	+	+	6/150	33	117
46.	საოფისე კომპიუტერული პროგრამები, ინგლისური ენა B2.2.	ახალი მედია და სოციალური ქსელები					+	+	+	+	6/150	33	117
47.	საოფისე კომპიუტერული პროგრამები,	ჟურნალისტური წერის ტექნიკა					+	+	+	+	6/150	33	117

	ინგლისური ენა B2.2												
	<b>საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები</b>												
48.	წინაპირობის გარეშე	მსოფლიო ცივილიზაციები და საქართველო					+	+	+	+	6/150	47	103
49.	წინაპირობის გარეშე	ბიზნეს ადმინისტრირების საფუძვლები					+	+	+	+	6/150	33	117
50.	წინაპირობის გარეშე	შესავალი სამართალში					+	+	+	+	6/150	47	103
სემესტრში			<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>			
წელიწადში			<b>60</b>		<b>60</b>								
სულ			<b>240</b>										

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

პროგრამის მიზნები	პროგრამის სწავლის შედეგები								
	<u>A</u>	<u>B</u>	<u>C</u>	<u>D</u>	<u>E</u>	<u>F</u>	<u>G</u>	<u>H</u>	<u>I</u>
ძველი და ახალი აღთქმის შინაარსობრივი ცოდნა და მისი განმარტებები	✓					✓			
ადრეული, შუა, ძველი და ახალი პერიოდის ეკლესიის ისტორია, საქართველოს ეკლესიის ისტორია, საეკლესიო სამართალი, საკრამენტოლოგია, პატრისტიკული ლიტერატურა, ქრისტიანული საეკლესიო ხელოვნება		✓							
ეკლესიის დოგმატური მოძღვრება და ფუნდამენტური თეოლოგია, ქრისტიანული ეთიკა, ანტიკური, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ფილოსოფიის ისტორია, მსოფლიო რელიგიების ისტორიის ზოგადი ცოდნა, ისლამისმცოდნეობის შესავალი			✓		✓				
თეოლოგიის სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე ხელმძღვანელის მითითებით მცირე მოცულობის კვლევის ჩატარების უნარ-ჩვევები, თეოლოგიური პრობლემებისა და თანამედროვე საკითხების დამუშავების, შემდგომი განვითარებისა და ცოდნის გადრმავეების შესაძლებლობა							✓	✓	
სხვადასხვა რელიგიისა და რელიგიური მიმდინარეობის პატივისცემა.				✓					✓

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

N	საგანი	კურსის სტატუსი	პროგრამის სწავლის შედეგები								
			(A)	(B)	(C)	(D)	(E)	(F)	(G)	(H)	(I)
1	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	P							P		
2	კომუნიკაციის, პრეზენტაციის და დისკუსიის ტექნიკა	P							P		
3	ფსიქოლოგიის საფუძვლები	I				I					I
4	ევროპა და საქართველო	I				I					
5	ადრეული და შუა საუკუნეების ეკლესიის ისტორია	D		D					D	D	
6	ანტიკური და შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია	D			D	D					D
7	ახალი და უახლესი დროის ფილოსოფიის ისტორია	D			D	D					D
8	რელიგიების ისტორია	D			D		D	D	D	D	
9	ახალი და უახლესი დროის ეკლესიის ისტორია	D		D					D	D	
10	ბიბლიის შესავალი	I	I				I	I		I	I
11	ხუთწიგნეული და წინასწარმეტყველები	D	D				D	D		D	D
12	სახვითი ხელოვნების თეორიისა და ისტორიის საფუძვლები	D			D				D	D	
13	ისლამისმცოდნეობის შესავალი	D			D					D	D
14	საქართველოს ეკლესიის ისტორია	D	D		D					D	D
15	სინოპტიკური სახარებები და მოციქულთა საქმეები	D	D				D	D		D	D
16	მართლმადიდებლური დოგმატიკის საფუძვლები	D	D				D	D		D	
17	ქრისტიანული ეთიკა და თანამედროვეობა	D			D				D	D	D
18	პატროლოგია	D	D	D				D	D		D
19	ქრისტოლოგია	D	D	D				D	D		D
20	შესავალი მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ სამართალში	D									
21	იოანეს კორპუსი	D	D				D	D		D	D
22	ფუნდამენტური თეოლოგია	D	D				D	D		D	
23	ლიტურგიკული ღვთისმეტყველება	D		D			D	D		D	
24	საკრამენტოლოგია	D		D			D	D		D	
25	სამწყსო წერილები და პავლეს კორპუსი	D		D			D	D		D	
26	საბაკალავრო ნაშრომი	M							M	M	
27	ინგლისური ენა A1	P							P	P	
28	ინგლისური ენა A2	P							P	P	
29	ინგლისური ენა – B1/1*	P							P	P	
30	ინგლისური ენა – B1/2*	P							P	P	
31	ინგლისური ენა – B2/1*	P							P	P	
32	ინგლისური ენა – B2/2*	P							P	P	

კურსის სტატუსი

I – შესავალი კურსები (Introduction)	D - განმავითარებელი კურსები (Developing)	P - პრაქტიკული კურსები (Practical)	M- დაოსტატების კურსები (Master)

პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკა

№	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
33	პნევმატოლოგია	X	X	X
34	ეკლესიოლოგია	X	X	X
35	ჰომილეტიკა	X	X	X
36	ადმოსავლეთის ეკლესიები	X	X	X
37	ქრისტიანული არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების საფუძვლები	X	X	X
38	ესქატოლოგია	X	X	X
39	ძველი ებრაული ენა	X	X	X
40	ძველი ბერძნული ენა	X	X	X
41	ლათინური ენა	X	X	X
42	თანამედროვე ეკლესიათშორისი ურთიერთობები და საქართველო	X	X	X
43	ძველი და შუა საუკუნეების მსოფლიო ისტორია	X	X	X
44	ახალი და უახლესი დროის მსოფლიო ისტორია	X	X	X
45	პიროვნების ფსიქოლოგია	X	X	X
46	ახალი მედია და სოციალური ქსელები	X	X	X
47	ჟურნალისტური წერის ტექნიკა	X	X	X
48	მსოფლიო ცივილიზაციები და საქართველო	X	X	X
49	შესავალი ბიზნეს ადმინისტრირებაში	X	X	X
50	შესავალი სამართალში	X	X	X